

შპს „ვარკეთილი 96“

2023 წლის ფინანსური ანგარიში

სარჩევი

ფურცელი

2023წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლის სრული

შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება -----	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31,12,2023-ის თარიღისათვის -----	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 31,12,2023-ის თარიღისათვის -----	5
1. ზოგადი ინფორმაცია -----	5
2. მომზადების საფუძველი -----	5
3. სააღრიცხვო პოლიტიკა -----	6
4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ -----	7
5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები -----	11
6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები -----	11
7. მარაგები -----	12
8. ძირითადი საშუალებები -----	12
9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები -----	13
10. სესხები და გადასახდელი პროცენტები -----	13
11. ამონაგები -----	14
12. არასაოპერაციო შემოსავალი -----	14
13. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები-----	15
14. ფინანსური ანგარიშების დამტკიცება -----	15

მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

დასახელება	შენიშვნები	31-12-2023 ლარი	31-12-2022 ლარი
ამონაგები	8, 13	3190245	2651560
თვითღირებულება		(932874)	(852951)
საერთო მოგება		2257371	1798609
სხვა შემოსავალი		70609	6331
ადმინისტრაციული დანახარჯები		(1843634)	(1230622)
სხვა ხარჯები		(84905)	(28272)
ფინანსური დანახარჯები		(337250)	(336855)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		62190	209191
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი		62190	209191
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		0	0
დივიდენდი	9	0	0
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		62190	209191

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31,12,2023-ის თარიღისათვის

	შენიშვნები	31-12-23 ლარი	31-12-22 ლარი	31-12-21 ლარი
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები		56968	136703	81099
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		24456	25009	31697
სხვა პირებზე ავანსად და სესხათ გაცემული				

ფულადი სახსრები	322081	126137	0
სასაქონლო მატერიალური ფასეულობანი	11425	21234	19169
სხვა მიდინარე აქტივები	24260	0	136652
სულ მიმდინარე აქტივები	439190	309083	268617

გრძელვადიანი აქტივები

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	411574	411574	411574
ძირითადი საშუალებები	3878038	4166956	4203141
არამატერიალური აქტივები		86	223
გრძელვადიანი მოთხოვნები	79500		

სულ გრძელვადიანი აქტივები	4369113	4578616	4614938
სულ აქტივები	4808302	4887699	4883555

ვალდებულება და საკუთარი კაპიტალი

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	101573	115209	54450
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1384	25166	55967
საგადასახადო ვალდებულებები	30168	32404	144700
მოკლევადიანი სასესო ვალდებულებები		0	0
გრძელვადიანი სასესო ვალდებულებები	2557106	2519407	2692301
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	653	2605	8387
სულ ვალდებულებები	2690885	2694791	2899838

საკუთარი კაპიტალი

საწედბო კაპიტალი	242460	242460	242460
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	271382	209192	(13357)
გადაფასების რეზერვი	1149563	1287242	1287243
სხვა რეზერვები	454014	454014	467370
სულ საკუთარი კაპიტალი	2117418	2192908	1983716
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4808302	4887699	4883555

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	31-12-23	31-12-22
	ლარი	ლარი
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	593475	738622
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(373659)	(180636)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობა	(299551)	(502382)

წმინდა ცვლილება ფულად ნაკადებში (79735) 55604

სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	0	0
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	136703	81099
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	56968	136703

ფინანსური ანგარიშგების ახსნა -განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვარკეთილი 96“ (შემდგომში კომპანია) სამეწარმეო რეესტრში ჩართვის თარიღია 1996 წლის 13 თებერვალს, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერია 7ა/4-34, მისი საიდენტიფიკაციო ნომერი 208149779, იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ.თბილისი, სამგორის რაიონი, ჯავახეთის ქუჩა 17დ.

კომპანიის მესაკუთრე წილის მმართველები არიან კახაბერ კახიძე 01007008573 19,5%, ვლადიმერ ფრუიძე 49001000976 5 %, გურამ ქაცანაშვილი 01009005599 17,5%, იათამუხე ქავთარაძე 01013022134 5 %, თემურ პირველი 12001003300 28%, პაატა ნუცუბიძე 01007017010 7,5 %, გენრიხ ხერგიანი 30001001893 2,5 %, მზევინარი ხერგიანი 30001000246 15 %. საანგარიშო პერიოდში 2020 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 01 აგვისტომდე კომპანიის დირექტორი დანიშნული იყო დავით ჯაფარიძე 01008050474. ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობის მხრივ საჯარო რეესტრში განხორციელდა ცვლილება და 2020 წლის 1 აგვისტოდან 2021 წლის 26 თებერვლამდე დირექტორად დაინიშნა ოთარ პირველი 010110011580. ხოლო 2021 წლის 26 თებერვლიდან დირექტორად დაინიშნულია დავით ჯაფარიძე, 2022 11 მაისიდან ოთარ პირველი 010110011580 , 2022 წლის 12 ნოემბრიდან პაატა ნუცუბიძე 01007017010..

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. სააღვრისხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს ფასს მსს სტანდარტზე გადასვლის შემდეგ არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღვრისხვო პოლიტიკასგან, რომელსაც იყენებდა საწარმო წინა საანგარიშო პერიოდში. გამომდინარე აღნიშნულიდან ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებულ ოპერაციების მოვლენებსა და გარემოების შედეგად შესაბამისი კორექტირების აუცილებლობა არ წარმოქმნილა. კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარული წელს პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით-ანუ დაშვებით , რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებისათვის შესაბამის ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოვლენა შესაბამისი ტექნიკის მეშვეობით. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდაჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარებში.

ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების ზოგადი საკითხები:

საანგარიშო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი (2023 წელი), ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

- ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისათვის;
- ბ) პერიოდის მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგებას;
- გ) პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას;
- დ) პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას;
- ე) განმარტებით შენიშვნებს;

სინთეზური ანგარიშგებისათვის გამოყენებულია ბუღალტრული პროგრამა „ორისი“, ფინანსურ ანგარიშგებას ზედამხედველობას უწევს კომპანიის დირექტორი.

კომპანია შემოსავლებს და ხარჯებს აღრიცხავს დარიცხვის მეთოდით.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მომსახურეობის გაწევა, კერძოდ შემოსავლების მიღების მიზნით ქირით გაცემული აქვს იურიდიულ და ინდივიდუალ მეწარმეებზე არასაცხოვრებელი ფართები საცალო ვაჭრობის განსახორციელებლად.

2023 წლის 31 დეკემბრს დასრულებული საანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2024 წლის 25 ივლისს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

ძირითად საშუალებები.

ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება ფასს -ის მოთხოვნათა შესაბამისად, კერძოდ გაწეული მატერიალური დანახარჯი აღიარდება აქტივად თუ;

ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს.

ბ) კომპანიისათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება მისი თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტებისადმი ფასს -ის მოთხოვნა კომპანიას დაცული აქვს სრულყოფილად. კერძოდ:

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასებისათვის შერჩეულია თვითღირებულების მოდელი. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღვრის პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით. მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშობება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განიხილავდება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში. ხარჯები დაკავშირებულია ძირითადი საშუალების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილი იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა დანახარჯი, მათ შორის შეკეთების ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით, აღიარების შეწყვეტა ხდება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან როდესაც მისი გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად განიხილავდება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასების გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯები. მარაგების თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს და სხვა ნებისმიერ პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს. თვითღირებულება გამოთვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო თარიღისათვის კომპანია ახორციელებს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების სასიცოცხლო ვადის გადახედვას, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად ყოველი საანგარიშო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-ტერიალური ფასეულობის გაუფასურება, რადგან სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს იყენებს ძირითადი საშუალებების სარემონტო-საექსპლოატაციო სამუშაოებისათვის საანგარიშო თარიღისათვის მათი გადახედვა და შეფასება არ ხდება.

იჯარა

ფინანსურ იჯარის ოპერაციები საწარმოს საანგარიშო პერიოდში არ უწარმოებია. საწარმო აწარმოებს მარტივ (ჩვეულებრივ) იჯარას. კერძოდ ახდენს ბალანსე რიცხული ადგილების დროებით სარგებელში გადაცემას ფიზიკურ, ინდივიდუალურ მეწარმეზე და სხვადასხვა კომპანიებზე სავაჭრო საქმიანობის გასახორციელებლად. მარტივი იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახადები აისახება მოგებაში, შესაბამისი ვადის განმავლობაში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე, ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო/მომსახურების და სხვა მოთხოვნილებებისაგან. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამხდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს. რეალიზაცია (მომსახურების მიწოდება), ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. საწარმოს ძირითადი შემოსავალი არის ფიზიკურ პირებზე და იურიდიულ პირებზე მარტივი იჯარით/ქირით გაცემული არასაცხოვრებელი ფართები, საცალო ვაჭრობის განსახორციელებლად. ასევე დამატებით შემოსავალს კომპანია იღებს ისეთი შემოსავლებიდან, რომლებიც ძირითადი შემოსავლების თანმდევია. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება მიწოდებული მომსახურების და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად მიღებულია.

საწარმო ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს, ან საწარმო, მიუხედავად იმისა რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულება

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომელიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეული იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულებების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში სწყვეტს, როდესაც ის შესრულებდა, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისათვის

საწარმოს მიერ მიწოდებულ მომსახურებას არ ახლავს საგარანტიო ვალდებულება.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მომსახურების მოწოდებიდან მიღებულ შემოსავლებს. მომსახურების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს ჩვეულებრივ იჯარის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხების, გადასახადების და მოსაკრებლების, სავაჭრო ფასდათმობებისა და მოცემულების გამო ფასდაკლების გამოკლებით.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის /მომსახურების მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლების ოდენობის საიმედო შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელის დაკავშირებული არაა მესაკუთრეზე გაცემულ განაწილებასთან, ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშებში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას, მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია საანგარიშო თარიღისათვის.

2016 წლის წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადის დაბეგრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისათვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა 2017 წლის იანვრიდან. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15 %-ს. მოგების გადასახადით დაბეგრა მოხდება არა წლიური მედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგების დაბეგრა. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების დასაბეგრ საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდის გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხისა და რეალურ ღირებულება შორის.
- ხარჯები, რომელიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები სასაჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები.

დივიდენდის განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

2008 წლის იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებული მოგების განაწილებისას, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში, ხდება წინა წლებში გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლა, რომელიც ან უნდა აღემატებოდეს განაწილებულ მოგებაზე ფაქტიურად ღარიცხულ მოგების გადასახადს. აღნიშნული აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებულ მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

დივიდენდის განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებისა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადოს სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდისათვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებას შორის არ არსებობს სხვაობები, რომლებაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადის გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშების გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგებზე 2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ.

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშებაში ასახულ თანხებზე, აქტივებსა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებაში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებასთან ერთად იყენებს ასევე განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშებაში ასახულ თანხებსა, აქტივებსა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს.

მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი. ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის შესწორება.

უემედო ვალების რეზერვი

სავაჭრო/მომსახურების დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტისაგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნილობის ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის

ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდ პერიოდში მოცვას.

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

	31/12/2023	31/12/2022
1110 ფული საღაროში	5300	51378
1210 ფული ეროვნულ ვალუტაში ბანკში	51668	85325

	56968	136703

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	საწყისი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი

1410 მოთხოვნები მიწოდებიდან	18055	3764514	3765067	17503
და მომსახურებიდან				
1430 მოთხოვნები პერსონალის მიმართ	0	56496	56496	0
1450 მოთხოვნები პარტნიორებზე				
გაცემული უპროცენტო სესხზე	83764	0	0	83764
1480 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	42373	305000	109055	238318
1490 სხვა მოკლე ვადიანი მოთხოვნები	6953	0	0	6953

	151145	4126011	3930618	346538

	2023წ	2022 წ
7. მარაგები		
1620 ნედლეული და მასალები	10148	20924
სხვა	25537	0

	35685	20924

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებით. გამოყენებულია შეფასების საშუალო შეწონილი მეთოდი "MIDL."

8. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთი	შენობები	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფის აღჭურვილ ობა	სხვადასხვა
თვითღირებულება						
31 დეკემბერი 2022წ	1767849	917145	1758668	435	88167	326074
გასვლა	217180	0	5000	0	0	0
შემოსვლა	0	56789	93991	0	3805	3000
31 დეკემბერი 2023 წ	1550669	973934	1847659	435	91972	329074
ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2022 წ	0	-350176	-222751	-261	-44208	-73984
პერიოდის ამორტიზაცია	0	-74593	-98330	-22	-10990	-40972
გაუფასურება	0	0	0	0	0	0
გასვლა	0	0	583		0	0
31 დეკემბერი 2023წ	0	-424769	-320498	-283	-55198	-114956
ნეტო საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2022	1767849	566969	1535917	174	43959	252090
31 დეკემბერი 2023	1550669	549165	1527161	152	36774	214118

მეკავშირე საწარმოში საწარმოს ინვესტიციები არ განუხორციელებია

2400 გრძელვადიანი ინვესტიციები	საწყისი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
სხვა საწარმოში	411574	0	0	411574

კომპანიამ 2019 წელს განახორციელა ფინანსური ინვესტიცია სხვა საწარმოში. შეძენილია შპს „საქართველო 2000“-ში 100% წილი. აღნიშნულ კომპანია 2019, 2020, 2021, 2022 წლებში არ ფუნქციონირებდა და ეკონომიკური საქმიანობა არ განუხორციელებია.

10. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31/12/2023წ	31/12/ 2022 წ
მომწოდებლებზე და მომსახურებაზე წარმოქმნილი ვალდებულება	79973	73709
ფიზიკურ პირებზე და მცირე მეწარმეებზე წარმოქმნილი ვალდებულება	21600	41500
მიღებული ავანსები	0	0
გადასახდელი ხელფასები	1384	25166
ვალდებულება საპენსიო სააგენტოსთან	654	2605
საგადასახადო ვალდებულებები	33218	35453
	136829	178433

11. სესხები და გადასახდელი პროცენტები

	31/12/2023წ	31/12/2022წ
მოკლევადიანი სესხები	0	0
გრძელვადიან სესხები	2557106	2519407
გადასახდელი პროცენტები	0	0
	2557106	2519407

კომპანიას მოკლევადიანი სესხები არ ერიცხება. სს საქართველოს ბანკის მიმართ სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე ერიცხება გრძელვადიან სასესხო ვალდებულება წლიური 13,4 პროცენტის განაკვეთით. სესხის დაფარვის ვადა მერყეობს (2020 წლიდან) სესხის აღების წლიდან 10 წელი.სესხს ახლავს პირობა ,რომ ბანკს შეუძლია საჭირო შემთხვევაში თავისი შეხედულებისამებრ განახორციელოს სესხის სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა მსესხებლის ანგარიშზე არსებული თანხებით. კომპანიას ბანკის მიერ დაწესებული აქვს შეზღუდვები ,

რომლის თანახმად საჭიროა ფინანსური დაწესებულების თანხმობა კაპიტალური ინვესტიციების განსახორციელებლად. აგრეთვე უნდა შეინარჩუნოს სესხის მომსახურების კოეფიციენტები ბანკის მიერ დადგენილ დონეზე. სესხი უზრუნუოფილია კოპანიის უძრავი ქონებით.

12. ამონაგები

	2023	2022

ამონაგები მომსახურებიდან		
მაღაზიები	2935475	2481422
დახლები	51097	8305
ავტოსადგომი	72863	43510
საზოგადოებრივი საპირფარეშო	14740	11185
ბინის იჯარა	2373	1949
ელექტრო ენერგია	103348	97773
წყალი	4363	4411
სხვადასხვა	2850	1311
სარდაფები	3136	1695
=====		
ჯამი	3190245	2651560

	2023	2022

13. არასაოპერაციო შემოსავალი		
არასაოპერაციო შემოსავალი	70609	6331

ჯამი	70609	6331

14. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიამ საანგარიშო პერიოდის შემდგომ შეიძინა ქონება 52368 ლარის ოდენობით.

საანგარიშო პერიოდის შემდეგ კომპანიის მიერ მოხდა სესხის აღება 300 000 ლარის ოდენობით, მოახდინა ერთი სესხის № 9814286 სრულად დაფარვა და დარჩენილი სესხების ძირი დაიფარა 168982 ლარის ოდენობით.

15. ფინანსური ანგარიშების დამტკიცება

ფინანსური ანგარიში დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2024 წლის 25 ივლისს.

დირექტორი

3. ნიკოზი

პაატა ნუცუბიძე

